№ 268. 22 დეკემბერი, ოთხშაბათი. 1866—182 22 დეკემბერი, ოთხშაბათი. № 268.

რედაქცია

გაზეთის პრაქტიკაზე ო. ივ. შუხრანს აქ ხახლები კლუბის ქვეშაა.

ხელის-მოწერა

შიდგება თელლისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთისთვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

თელლის წლიერ. . . 9 მან. | სამის თვიერ. . . 3 მან.
ქვეყნის თვიერ. . . 5 მან. | ერთის თვიერ. . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ერთ ხაზზე 4 კაპ. ... ერთ ხაზზე ნახევარი კაპ., წინადადებაზე 8 კაპ.

თუ სამჯერადაც შოითხოვენ, რედაქცია გაუწყრებაც და შეამოკლებს დანარჩენ ადგილად გამოგზავნილ წერილებს. და შემდეგ წერილს რედაქცია უარეოფ ვერ დაუბრუნებ ხელოვანს.

განცხადება შიღება ქართულს, რუსულს და სომხურ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება შიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეულად „დროების“ დანომერა შეიძლება.

არწრუნის თეატრი.

დღეს, 22 დეკემბერს

ბენეფისი

ვ. ა. აბაშიძისა

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

აბონემენტის რიგსგზე

რევიზორი

კომედია 5 მოქმ. გოგოლისა, რუსულით თარგმნილი ა. ბ. ჭიჭინაძისაგან.

ხლესტაკოვის როლს აღასრულებს მობენეფისე—ვ. აბაშიძე, გოროდნიჩისას—ძ. უფიანი, ოსიპისას—ძ. მესხი.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრამა

(„ნაწილი ტელეგრაფის ბიულეტენისა“)

20-ს დეკემბერს.

პარიზი. დღეს შუადამისას გარდაიცვალა ლეონ გამბეტტა.

სიისკი. ალბანეთის გუბერნატორის განკარგულებით, ცეკ-ოფიცერის ტუსაღებს მოესპობათ შეწევნა ხაზინისაგან.

ადესა. დაღუშულის გემის „მოსკოვის“ მაგივრად შეძენილია ქალ. ბლაზგოში ახალი გემი, რომელიც

„დროების“ ფელეტონი, 22 დეკემ.

ნამწყემარის მოგონება

I

18.. წელს მე გარდავწყვიტე მეცხვარობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომეველო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თანა სდევს.

მე თითონ როგორც მთის კაცს, მყვანდა რაოდენიმე ცხვარი, ოთხოდენი კიდევ ზოგიერთს მიწებში გაცვლით მოვაგროვე, მიუმატე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი და ამ გვარად შევიქენ მეცხვარე.

რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ განურჩეველად ყველამ, მასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდის ძრიელი იყო, რომ არაფითარს რჩევას ყური არ ვუგდე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გაზაფხულში ადესიდამ წავა ჩინეთში ჩაისათვის.

პეტერბურღი. პეტერბურგის ფრანგუზული გაზეთის სიტყვით, 1 ივნვარს 1881 წ. ბრძანების თანახმად გასულ ოქმიანობის დროს გამოსულის კრედიტის ბილეთების გასაუქმებლად, სახელმწიფო ხაზინამ დაუბრუნა სახელმწიფო ბანკს 50,000,000 მან.

გაზ. „ახალი დროების“ სიტყვით, სიყალბის მოსასპობად, საბრუნო ფულტა მოახდენს ფიცხელ რეგიზიას ყველა იმ მადაზიებში, სადაც კი ოქრო და ვერცხლის ნივთეულებით ვაჭრობენ.

პირველ ივნვრიდამ 1883 წ. დაიხურება ის თამბაქოს ქარხნები, რომელთაც მდგომარე წლის პირველს ნახევარში არ შეუძენიათ ნახევარი წილი ბანდეროლების დადგენილი რიცხვისა; რომელთაც არ შეუძენიათ მეორე ნახევარი წილი ბანდეროლებისა მეორე ნახევარ წელში, ვალდებულნი არიან, პატენტის მასალებად, შემდეგის წლის პირველ სამს თვეში შეიძინონ როგორც დასაკლისი ბანდეროლის რიცხვი, აგრეთვე, რაც ამ სამ თვეში დასჭირდებათ; წინააღმდეგ შემთხვევაში ქარხანა დაიხურება, ახლად გახსნილი ქარხანა ვალდებულია, შეიძინოს ბანდეროლები პირველ რიცხვს პატენტის მიღების თვისა.

გამბეტას სიკვდილი

ტულონი, 21 დეკემბერს.

დღეს მოსულმა ტელეგრამამ ერთი ისეთ ამბავი მოგვიტანა პარიქიდამ, როგორიც, უეჭველია, მთელს ევროპას აღელვებს, რომელსაც, მარტო საფრანგეთზე კი არა, მთელი ევროპის პოლიტიკურ საქმეებზედ ექნება დიდ და შესამჩნეველი გავლენა.

გამბეტას სიკვდილზე მოგახსენებთ. ის დრდაცვლილა პარიქში გუშინ წინ, 20 დეკემბერს, შუალამეზე. ამ ორის კვირის წინად იწერებოდნენ, რომ გამბეტა ძალიან ავად არის კუჭის ანთებითაო. მაგრამ შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ უკვე არისო ასე, რომ იმის ასე უეცარ სიკვდილს არავინ არ მოელოდა. მით უფრო დიდი ზედმოქმედება ექნება ამ შესანიშნავ კაცის სიკვდილს, რომ ეს სიკვდილი ასე უეცრად, ასე მოულოდნელად ეწვია იმას.

დაწვრილებით ბიოგრაფიას ამ კაცისას შემდეგს ნომერში წაიკითხავთ; ახლა კი მოკლედ მოგახსენებთ—თუ რა კაცი იყო გამბეტა, რა მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის და, თითქმის, ევროპის ამ დროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გამბეტა უბრალო დეპუტატი იყო საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში. ქვეყნის საქმეების ოფიციალურ გამგებელად (მინისტრად) ის მხოლოდ ორის თვის განმავალობაში იყო. მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ნამდვილი მმართველი და გამგებელი საფრანგეთის საზოგადო საქმეებისა ამ უკანასკნელ ათის თორმეტის წლის განმავალობაში ის იყო. ნაპოლეონის დამარცხების და ტახტიდამ გადაგდების შემდეგ, ისეთი ძალა შეიძინა იმან საფრანგეთის პარლამენტში, ხალხში ისეთი გავლენა და პატივი ჰქონდა, ისეთ ნაირად დარწმუნებულნი და დაიმედებულნი იყვნენ ყველანი იმის ჭკუა-მოხერხებაზედ, რომ ყველაფერში უგონებდნენ და როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა ქვეყნის საქმეებს.

როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს და მინისტერს რაიმე საქვეყნო საქმის დაწყება სურდათ, ან რომელიმე ახალი წესისა და კანონის შემოღება საფრანგეთში, ყველაზე პირველად გამბეტას დაეკითხებოდნენ—აბა ის რას იტყვის ამაზედაო. თუ ის დათანხმდებოდა, თუ ის იტყოდა—კარგია, დაიწყეთ ეგ საქმეო,—ისინიც თამამად იწყებდნენ და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ გაიყვანდენ, შეასრულებდნენ ამ თავის საქმესა და განზრახვას. თუ გამბეტა წინააღმდეგი იყო, ატყდებოდა პარლამენტში გაცხარებული ბრძოლა და ათში ერთსაც ვერ შეასრულებდნენ.

გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს და რალა დამაყენებდა შინ. მივაღწიე ჩემს მიზანს, დაუახლოვდი, გავიცან ისინი, ვისიც გაცნობა და დაახლოვება ისე გულით მსურდა (თუ როგორ—ჩემის ნაწერების მკითხველებზედ მივაგდებ) აქ კი მინდა გიამბოთ ზოგიერთი ეპიზოდი ჩემის მეცხვაროობიდგან, და მგონია, რომ ეს რაოდენსამე ინტერესს მოკლებული არ იქნება.

ჯერ კიდევ ზაფხული იყო, ცხვარი არ გაგვეშრო და დედალს ცხვარს მიესდგომოდი მოსაწველად. გზაში შემომხვდა ორი მოხევე, რომლებიც სრულიად არ მიცნობდნენ და ჩაცმულობაზედ კი ვერ გამარჩევდნენ: უბრალო მწყემსი ვიყავ თუ მთაში სახელიანი კაცის შვილი.

— ბარაქა შენს ცხორსა! წამომძახეს იმათ, რა წამს გამისწორდნენ.

— შფალმა გილხინასთ! უპასუხე მე.

— ვისია ეგ ცხორი? მკითხეს.

მე დავუსახელე ჩემი გვარი.

— ბედჩაო ჩემო თაო, მართლა

იმათ სერია*).... დამღაც იმათ მეტს არ ვისა აქეს. წარმოსთქვა ერთმა და დაუმატა:—შენ ვილას ბალღი ხარ?

— მე არახევთელი გახლავარ, შენი კვნესა მე. მოვუქცივ მთიულურად. ბურდულიან იაკობასი.

— მოჯამაგირეთა ხარ, თუ ცხორი გყავს დაზიარებული? ძიდევა მკითხეს.

— ცხორი, შენი კვნესა მე. მივეც პასუხად.

ჩემი თანა მგზავრები მომიდგნენ გვერდს და მშველოდნენ ცხვრის გამორეკას.

— ბალღო, რაი გქვიან?

— მამუკა, შენი კვნესა მე.

— მართლა, შენი ადა [illegible] დედის ცხორში.

— დადის ლომისის [illegible] ვუპასუხე მე.

— თავად დადის? ბაიკვირვეს იმათ.

— ჰო.

— საკვირველია, ღვთის მადლმა!

— რაისთვი? ვკითხე მე და გულის ძგერით დაუწყეს ყურის გდება.

— აბა, როგორ საკვირველი არაა, ხემწიფის სწორის კაცის შვილია და ცხორს აღდგენებია!... აჰუ! ჩაიქნია ხელი უცნობმა.

— მერე, მანდ ცუდი რა არის?... ცხორი ჰყავს და თითონ დასდევს.

— ცუდი?... ხევის ბატონის შვილი და უბრალო მემცხორე! ბაიკამათა იმანვე.

— მაგის მამა-პაპასაც ჰყოლია ცხორ [illegible] თითონ კი არ უვლიათ, არა, ღვთის მადლმა. დაუმატა მეორემ.

— აბა ძალიან იკადრებდნენ მეცხორობას!... სულ ჩინებით საცხე ჰქონიათ ყელ-გული.

— მაშინ სხვა დრო იყო და ეხლა სხვაა. ვცადე თავის მართლება.

— ცხო დრო კი არა, უხეირო ყოფილა, თორემ ქვეშეს პრისტავად იქნებოდა.

მეტად გული მატკინა ამ სიტყვებმა, რომ კიდევ ლაპარაკი გამეგრძელებინა; წამოუარე ცხვარს და შევფინე მთაზედ, სადაც კიდევ რაოდენიმე ხანი მინდოდა მეძოვებინა, რადგანაც მოსაწველად მირეკა ჯერ ადრე იყო.

ჩემი უცნობები გამომეთხოვნენ და მეკი დავრჩი იმათ სჯით დალონებული და ფიქრებმა გამიტაცეს.

*) სერი—ურის წვერზედ ნიშანი. ყველა ცხვრის პატრონს თავისი ნიშანი აქვს.

და არა თუ მარტო საფრანგეთის მმართებლობა, თვით ყოველად შემძლებელი თ. ბისმარკი და ზოგიერთი სხვა ქვეყნების მმართებლობაც ბამბეტას შესჩერებოდნენ, იმის აზრსა და შეხედულობას ელოდნენ, როცა რაიმე საქვეყნო საქმეს შეუდგებოდნენ.

რად ჰქონდა ბამბეტას ამისთანა ძალა? როგორ შეიძინა იმან ამ გვარი გავლენა?

როგორც ზევით მოგახსენეთ, ბამბეტა უბრალო დეპუტატი ანუ ხალხის წარმომადგენელი იყო საფრანგეთის ერის წარმომადგენელთა კრებაში. მაგრამ თავის ჭკუითა, პოლიტიკურ საქმეებში გამჭრიახობით, საზოგადო მიდრეკილების ცოდნით, საცა საჭირო იყო—მოხერხებით და საცა ზნეობითი ძალით, მჭევრ-მეტყველობით ისე მოაგვარა საქმე, რომ მომეტებული ნაწილი თავის ამხანაგებისა, ნაციონალურ კრების დეპუტატებისა იმის ყურ-მოჭრილ ყმად გარდაიქცნენ: რასაც ის იტყოდა, ისინიც იმას ამბობდნენ; რა მხარესაც ის დაიჭერდა, ისინიც იმ მხარეს იჭერდნენ; რასაც ის ებრძოდა, იმას ებრძოდნენ ისინი; ერთის სიტყვით, იმის წყალობით ნაციონალურ კრების თითქმის მეოთხე ნაწილი რესპუბლიკურ პარტიის მოთავედ და ბელადად ითვლებოდა, და რადგან ეს პარტია ახლანდელს საფ. პალატში უმრავლესობას შეადგენს, ამიტომაც იმის ნება ასე ხშირად სისრულეში მოდიოდა.

შეჭველია, რომ ბამბეტა არ იყო იმისთანა კაცი, რომელიც ახალს, ჯერ გაუგაგონარს და გაუკვალავს გზაზედ წაიყვანს საზოგადოებას. ნახტომებისა ერის ცხოვრებაში იმას არა სწადარა. ის არ იყო რევოლიუციონერი. ძირითად, რადიკალურ რეფორმებს ის შემოიღებდა საფრანგეთში, რომ დასცლოდა და რესპუბლიკის პრეზიდენტად გამხდარიყო. არა. ბამბეტა ერთობ ფრთხილი, წინ-დახედულ და „ზომიერი მიმართულების“ კაციყო. იმის იდეალს შეადგენდა რესპუბლიკა რესპუბლიკელების ხელში. სოციალურ რეფორმებს ის თავის დღეში არ გამოედევნებოდა, მუშების მდგომარეობა იმის ხელში ბევრად არ გაკარგდებოდა. იმის აზრით, ამისათვის ჯერ „დრო არ იყო დამწიფებული“. ჯერ მაგრად დამკვიდრებული რესპულიკაო, ჯერ პოლიტიკური განთავისუფლება ერისაო და მხოლოდ შემდეგ სოციალური რეფორმები, მუშების და საზოგადოდ ღარიბ ხალხზე ზრუნვაო, ეკონომიურ საგნებზე სჯაი.

იქნება, ამ მხრით ის შემცდარი იყო; ბევრი სხვა მხრითაც ვერ დაეთანხმება და ვერ თანაუგრძნობს კაცი იმის პოლიტიკურ მოქმედებასა და მმართულებას. მაგრამ რაც უნდა იყოს, უეჭველია, რომ თავის დროს იმან დიდი ღვაწლი დასდო თავის სამშობლო ქვეყნისათვის, დიდი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთის წარმატებასა და ფეხზე წამოყენებას იმ განსაცდელისაგან, რომელიც, ნაპოლეონის წყალობით, მოევლინა მას 1870 წელს. თვით იმის მტერნიც კი აღიარებდნენ, რომ ის იყო ისეთი კაცი, რომელიც მაშინაც კი თანაგრძნობისა და სიყვარულის ღირსი იყო, როდესაც სცდებოდა, როდესაც მრუდე გზას ადგა.

ბამბეტას სიკვდილი ფრთებს აუსხამს და თავისუფლად მოასუნთქებს თ. ბისმარკს და იმის მსგავს ევროპის საქმეების მოჭახრაკეებს, რადგან იმისთანა გამჭრიახე და ზედ-ძიწვენით მცოდნე ევროპის პოლიტიკურ საქმეებისა ამ ჟამად სხვა აღარ რჩება. აღარ რჩება იმისთანა კაცი, რომელსაც ბამბეტასავით სცოდნოდეს და გაეგებოდეს—თუ რა შედეგი მოჰყვება თ. ბისმარკის ათას ნაირ პლანებსა და ხრიკებს და როგორ შეიძლება ამ პლანებისა ხრიკების ევროპის თავიდამ აცილება.

ამ მხრის ბამბეტას სიკვდილი სამგლოვიარო მოვლენად ჩაითვლება იმ პირთათვის, ფრანცუზი იქნება ეს პირი, თუ ნემეცი—სულ ერთია, რომელნიც ხალხთა ცხოვრების წარმატებას ნატრულობენ, რომელთაც ეს-მისთ, რომ რომელიმე ერის წარმატების გზაზე დადგომა, ამ გზის გადალობვა შეუძლებელია.

ДЛИШКИ

ელვასავით გავრცელდა დღეს ქალაქში ბამბეტას სიკვდილის ამბავი. საცა არ გაიხედავთ, ვისაც არ შეხვდებით, ყველა ამ ამბავზედ ლაპარაკობს, სჯის, ბაასობს. ბაზეთების რედაქციებში, შავერდოვის გაზეთის საგენტოში და საზოგადოდ, საცა ტელეგრამებს იღებენ, უანგარიშო ხალხი შედის და გამოდის, ნამდვილ და უფრო დაწვრილებულ შესატყობად. ძაგრად ჯერ-ჯერობით, როგორც ზევით წაიკითხავთ, ტელეგრამმამ მხოლოდ მოკლე ამბავი მოგვიტანა:

„დღეს, 20 ქრისტეშობისთვეს, შუადამეზედ ბამბეტა მოკვდაო“.

ბევრი ლაპარაკი იმაზედ, თუ რა გავლენა ექნება ბამბეტას სიკვდილს საფრანგეთის რესპუბლიკაზედ და საზოგადოდ ევროპაში. მოუთმენელად მოელიან დაწვრილებით ამბავს იმის სიკვდილისას, დასაფლავებისას.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ საქალაქო საქმეების პრისუსტვიას გაუუქმებია ქალაქის პირველ რიგის ამომრჩეველთა კენჭის-ყრა, რადგან უკანონოდ უცვნია, და ეს უკანონობა იმასში დაუნახავს, რომ ერთს ამომრჩეველს, ივ. ულრლანოვს, ცენზი არ ჰქონია და მხოლოდ ვექილობის ძალით მიუღია კენჭის-ყრაში მონაწილეობა. „საქალაქო წესდებულების“ მე-20 და 23 მუხლებით კი ხმის ანუ კენჭის მიღება კენჭის-ყრაში მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც ცენზი აქვს.

მეორე და მესამე რიგის ამომრჩეველთა კენჭის-ყრაზედაც რამდენიმე საჩივარი იყო, მაგრამ საქალაქო საქმეთა პრისუსტვიას არც ერთი ამ საჩივართაგანი საფუძვლიანად არ უცვნია და ამათი კენჭის-ყრა კანონიერად აუღიარებია.

* * *

როგორღაც ისევ ძველებურად გახშირდა ცეცხლი ჩვენს ქალაქში: გასულ შაბათს, 18-ს, საღამოს ქალაქის მეექვსე უჩასტკაში წაეკიდა ცეცხლი ასკარ ზეინალოვის სამ-სართულიან სახლს, რომელიც სრულიად დაიწვა; შემდეგ ცეცხლი ზილიბეკ ხარაზოვის სახლს მოედვა და ისიც მოინელა.

ამბობენ, რომ ზეინალოვის სახლი

წამოვიდა ნისლი და დაიწყო ქონა, მეც წამოვისხი ყისინა*), ბაშლიყა წამოვიგდე თავზედ და ცხვარს დაუდექ წინ, რათა წინები შემეყენებინა და გაუმაძღრად სირბილის გამო მადიანს ძოვნას არ მოჰკლებოდნენ.

არ გაიარა რამდენიმე ხანმა, როდესაც შევამჩნიე, რომ ორი ვილაცა კაცი წვერიანები და შტაცკურს ტანისამოსში მოდიოდნენ ჩემკენ. მე გაკვირვებით დაუწყე იმათ ცქერა, რადგანაც, თუ მგზავრები იყვნენ, მაშინ იმათი გზა გალმაზედ უნდა ყოფილიყო და იმ მხარეს ვერ მოხვდებოდნენ საითკენაც მე ვიყავი.

ისინი მოვიდნენ ახლოს და მოიმარჯვეს ჯოხები, რადგანაც ჩემი „ბასარა“ ყეფით გაექანა იმათკენ, მაგრამ რა მე დაუძახე ძაღლს და ისიც კუდის ქნევით მოვიდა ჩემთან, უცნობებმა ღიმილი დაიწყეს და დამტვრეულის რუსულის ენით ლაპარაკი დაიწყეს.

— **Собакъ, собакъ... Нѣтъ кусай...**

— **Нѣтъ кусай,**—უპასუხე მეც ამგვარადვე.

— **Баранъ, баранъ...** დაიწყო ერთმა, ვეღარ გაათავა, რადგანაც რუსული არ იცოდა და მიუბრუნდა ამხანაგს ფრანცუზულად:—როგორ უნდა ეკითხო, მატყლს სადა ჰყიდიან?

— მეც არ ვიცი. ფრანციზულადვე უპასუხა მეორემ.

ბოლოს იმათ გაიბეს ლაპარაკი მატყლის სიკეთეზედ და უკვირდათ იმოდენა ფარას მთაში როგორ ეთავსებდით. ბოლოს კიდევ მოიწადეს შეტყობა: სადა ვყიდით მატყლს და რამდენი ფუთის მოგროვება შეიძლებოდა მთაში.

მე ვლაპარაკობდი ფრანციზულს, გულმა ვეღარ გამიძლო და ამისთვის უპასუხე:

— მთაში ძალიან ბევრია ცხვარი, ხალხი თითქმის ამითი სცხოვრობს, მატყლს-კი აქვე ყიდულობენ სომეხი ვაჭრები.

წარმოიდგინეთ იმათი გაშტერება, როდესაც რალაცა უცნაურს და ვეღურს მთებს შორის, სადაც იმათის შეხედულებით ბარბაროსები, სცხოვრებენ, რომელთაც ათზედ მეტი თვლაც-კი არ იციან, ერთბაშად უბრალო მჭმცხვარე, უბრალო მთის კაცი ფრანციზულად ელაპარაკება!

— როგორ! თქვენ ლაპარაკობთ ფრანცუზულად?! ბაშტერებით წამოიძახეს ორთავ ერთად.

— დიახ, ცოტაოდენს.

— რას ამბობთ, სად გისწავლიათ?.. არა ეგ შეუძლებელია.

მე მომწადდა იმათან ხუმრობა და ამისთვის უპასუხე:

— ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანცუზულად... მე სხვა ადგილებში ვიყავ მიჯამაგირედ და კიდევ გადმავიწყდა, თორემ სხვებს ვერც-კი გამოარჩევთ ფრანცუზებისგან.

— რას ანბობთ?.. აი გასაშტერებელი საქმე! ეუბნებოდნენ ერთმანეთს.—ჩვენ-კი ველურს ხალხად მიგვაჩნია, ეს ხალხი!

ძარგა ლაპარაკის შემდეგ, როდესაც ისინი მოიღალნენ და მეც თავი მომაწყინეს ყბედობით, იმათ მთხოვეს საღამოზედ ბაზბეგის სტანციაში, სადაც ღამის გატარებას აპირებდნენ, მივსულიყავ, და მეანბნა ჩვენი ხალხის ცხოვრება, ჩვეულება და ხასიათი. ბოლოს მკითხეს:

— შენ იცი ინგლისი, ან საფრანგეთი?

— ვიცი. თავის დაქნევით უპასუხე.

— აი ეს ფრანცუზია, მე ინგლისელი. და მიჩვენა ერთმა და დაუმატა:—რასაც შენ გვიანბობ, ჩვენ ქვეყანაში წიგნებში ჩავწერთ და ყველანი წაიკითხვენ... მოდი უთუოდ,—დაუმატეს იმათ,—ფულებსაც გაჩუქებთ.

— მადლობელი, გიახლებით. უპასუხე.

ფრანცუზმა გაიღლო ჯიბეს ხელი, ამოიღო მანეთიანი და გამომიშვირა:

— აჰა, ეს ბეითა გქონდეს საღამომდინ და საღამოზედ კიდევ გაჩუქებთ.

— ბმადლობთ, უთხარ დარცხვენით და გავწითლდი.—საღამოზედ გიახლებით და მაშინ მიბოძეთ.

— ბამომართვი, ნუ გრცხვენიან.

— საღამოზედ ბატონო.

— მაშ კარგი საღამოზედ იყოს. მიპასუხა იმან და ორნივ გამომეშალნენ, მეც გავიბრუნე ცხვარი ჩვენი სოფლისკენ და წყნარ-წყნარად გავრეკე.

—

საღამოზედ ჩემი ამხანაგი მწყემსი „ჩამომიდგა“, რადგანაც ის დაბრუნებულიყო მთიდგან, სადაც „მშრალს—ცხვარს“*) მარილი წაუღო, იმას მოზდევდა მეორე ბიჭი, რომელიც ყოველ ღამ საყარაულოდ ჩამოგვეშველებოდა ხოლმე.

— მოხვედით მშვიდობით, მიეესალმე მოსულებს.

— მშვიდობა მოგცეს უფალმა.

— ცხორი როგორ არის? ვკითხე მთიდგან ჩამოსულს.

— აბა რაი უჭირს?.. ბატკანი ყოველ დღე ყირანზედ გაჰყავთ მწყემ-

---

*) ყისინა—ბლედის მაგიერი, ადგილობრივ ნაქსოვი შალი.

*) მშრალი—ცხვარი—რომელიც არ იწველება.

55,000 მანეთად იყო დაზღვეული და ხარაზოვის კი არაო.

—

გასწორება. გუშინდელ ჩვენ გაზეთში, მესამე გვერდის მესამე სვეტში, ქვევიდამ მეცხრე სტრიქონში შეცდომით არის მოყვანილი: „1881 წელს“, და სხვა—უნდა იყოს: 1821წ.

წერილი რედაქტორთან

(დასასრული.*)

როდესაც დაწყნარდა ამბოხება საბერძნეთისა, გაბნეულნი ბერძნები ისევ შეიკრიბნენ **ივერის** მონასტერში. ჩვენს მამებს ეპყრათ საკუთრად შესანიშნავი ტაძარი, სადაცა ასვენია სასწაულთ-მოქმედი ხატი ივერის ღვთის მშობლისა.

ესე იყო 1834 წლამდე. უკანასკნელ, მამა ვენედიტე იქმნა გამოძეულ ძმები-თურთ ბერძენთამიერ მონასტრით და დაემკვიდრენ გარეთ მცირე ეკკლესიასა წა. ილია წინასწარმეტყველისა, სადაცა არიან დღეაც მოწაფენი მისნი სამნი.

იმ დღიდგან მოსპეს მიღება ქართველთა მონასტერში, თუმცა მოდიოდენ ხშირად, მაგრამ აღარ ღებულობენ მონასტერში და სხვაგან არა ჰქონდათ თავის შესაფერებელი ადგილი.

1861-ში ივერიის მონასტრის ბერებმა შეთქვნეს პირი, შეკრეს პირობა, რომ მოსპონ ქართველთ უფლება და სრულიად მიითვისეს; სადაცა კი რამ იყო წარწერილი ქართულად, შლიდნენ; მაგალითად, საზოგადო

*) იხ. „დროება“ № 267.

ჰურის საჭმელი ტრაპეტში იყო დაწერილი ქახეთის დედოფლის სახელი, როგორც ალმაშენებლისა, და სხვანი.

1865-ს ივერუალიმიდგან მოვიდა ბერი ლუკა ქახელი ივერიის მონასტერს, მიადგა ღამე, მონასტერში არ შეუშვეს, ღამე გაეთენებინა; მეორე დღეს მოძებნა ძველი ქართველები და იმასთანაც არ დააყენეს და იძულებული შეექნა წასულიყო პალესტინეში. (ის ლუკა ბერი დღეს ჩვენთან არის):

1866-ს შემხვდა თვით შემოლოცვა მთა-წმიდისა და მსურდა ჩემი უკანასკნელი ცხოვრება იქ დამესრულებინა, სადაც ჩვენ წმ. მამებს ეშროომათ. სამწუხაროდ, ვერაფერი გზით ვერ მოვახერხე, რომ მონასტერში მიველიეთ. დიდის მოლაპარაკების დარჩევის შემდგომ, გამომიცხადეს, რომ იმათ ადგილი არა აქვთ. Oითოეულმა, რამოდენიცა ვიყავითო, ვაძლიეთ ას-ასი თუმანი; მაგრამ მაშინაც უარი გვითხრეს. შეეიწროებულმა ამ გარემოებით, მივიქეცი ვის დამიც ჯერ იყო და მივიღე დარიგება შესაბამი. ქოსტატინეპოლს ჩვენს დესპანს მივართვი თხოვნა ამ საგანზე და წარვემართე სამშობლოდ. მოვახსენე უკიდურესი მდგომარეობა ათონის-მთაზედ ქართველთა დასავლეთის საქართველოის მწყემს-მთავარს, ვინაიდგან ისურვეს აღდგინება და ახალი ნავთ-საყუდლის მოპოება ქართველთათვის ათონის-მთაზე ჩემი წინამძღვრებითა. მივიღე ნებართვა „გახსნილი ფურცელი კეთილმნებელობითი შემწეობა შემწირველთა და შეეკრიბე საკმაოდ საშვალობა.

1869 წ. ათონის-მთაზედ ივერიის ბერძნის ბერებისაგან დიდის მეცადინოებით, ვიყიდე იოანე ღვთის-მეტყველის ძველი დარღვეული საკანე მცირე ადგილი თურთ, სადაცა დაფუძნებული იყო ქართველთათვის უმაღლესი სასწავლებელი ღვთის-მეტყველებისა მეთერთმეტე საუკუნოში ბიორგი მთაწმიდელისა მიერ. ბამოვითხოვე გამომყიდველთაგან ნება აღშენებისა; თუმცა ფული მიიღეს, მაგრამ ახლა უნდოდათ წართმევა მაგ ადგილისა; მაგრამ მრავალმა მეტანიამ ჩემგნით მოალბო გული მათი, მომცეს ნება და ჩავყარე საფუძველი სამყოფი ათი კაცისა. ვკითხე მონასტერს შეიძლება მათგან საშენებული მასალა ვიყიდო თუ სხვაგან ვეძიო? მათ აღმითქვეს, ყოველ მასალას ჩვენგან ზომიერ ფასად მიიღებო; როდესაც კანტრახტით ვიქირავე ოსტატები და მივედი მონასტერში მასალებისათვის, მაშინ უარი მიყვეს, რომ იმათ არ შეუძლიათ არაფრის მოყიდვა. სოფლის კაცებს კი იმ ფამად გაქონდა მათგან გაყიდული ხე-ტყე გემებით. რადგან მოტყუებული შეეიქენი მათგან, ვიფიქრე მუშები გამეშვა. მუშები იყვნენ ბერძნები, მითხრეს: ან გვამუშავე, ან ფული რაც გარიგებული ვართ, მოგვეციო, თორემ არ მოგეშვებითო.

მაშინ ვცანი, რომ გზას მიხლართავენ, რომ ამ ადგილის გამყიდველთა სურდათ ჩემი იქიდგან განძევება და ადგილის ისევე შერჩენა. შეეიწროებულმა, მივიქეცი რუსის პანტელეიმონის მონასტერის წინამძღვარ ივერონიმესადმი და მოვახსენე გარემოება ჩემი; მან მიიღო მხურვალე მონაწილეობა ამ საქმეში, უბრძანა თავის ეკონომოსსა მღვდელ მონაზონ პალლეს, ყოველი მასალა იყიდოს ჩვენთვის.

ვიყიდეთ ხილანდრის-მონასტრიდგან, რომელი არს ოცდა ათი ვერსი სიშორე ჩვენი მონასტრიდგან, კირი ვიყიდე პონტოვრატორის მონასტერში. როდესაც დავიწყეთ ზიდვა ხეტყისა, მუშები იქმნა დათხოვილი და ერთიც ვერ ვიშოვე, ოსტატებს დღიური საფასე მიაქვს. ძიდეე შეეეეედრე მამა ივერონიმეს მასალის მოტანის საშუალობისათვის; უბრძანა მონასტრის ხარებით მომიტანონ კანონიერ ფასად.

ნახეს ივერის ბერებმა, რომ ამ გვარ მოქმედებითა ვერა გააწყვეს-რა, ყველა დაახლოებული გზები შეგვიკრეს, ხუთი ვერსი მეტი გზა გამოგვატარეს. ჩვენს ნაყიდ ადგილში, აგურის მოჭრის ნება არ მოგვცეს. ყოველის ფერი მონასტრის შენობისათვის საჭირო გარეშე მონასტრიდგან ვიყიდეთ, რამდენ ფასადაც ღირდა, სამი წილი მოტანას მოუნდა.

შეწევნითა ღვთისათა სახლები და ეკკლესია ერთად აღვაშენეთ ვიდრე სართულამდე; როდესაც ეკკლესიის თაღი შეეკარით, მაშინ ორი უფროსი არხიმადრიტები ილარიონ და დანიილ მოგვეხტნენ მუშებითურთ, გუმბადი ეკკლესიისა დაგვირღვიეს, ორმოცი თუმნის ნაშრომი დაგვეკარგა, დიდი იძულება მოგვაყენეს.— ჩვენ მოგვეცით ათი კაცის სამყოფი სახლის აშენების ნება დაშენ მონასტერს აშენებო და გუმბათიანი ეკკლესიის აშენება როგორ გაბედეო? ამასთანავე კიდევ გამომიცხადეს, არა მქონდეს ნება გარდა სამი კაცის დაჯენოებით, ვიყიდე იოანე ღვთის-მეტყველის ძველი დარღვეული საკანე მცირე ადგილი თურთ, სადაცა დაფუძნებული იყო ქართველთათვის უმაღლესი სასწავლებელი ღვთის-მეტყველებისა მეთერთმეტე საუკუნოში ბიორგი მთაწმიდელისა მიერ. ბამოვითხოვე გამომყიდველთაგან ნება აღშენებისა; თუმცა ფული მიიღეს, მაგრამ ახლა უნდოდათ წართმევა მაგ ადგილისა; მაგრამ მრავალმა მეტანიამ ჩემგნით მოალბო გული მათი, მომცეს ნება და ჩავყარე საფუძველი სამყოფი ათი კაცისა. ვკითხე მონასტერს შეიძლება მათგან საშენებული მასალა ვიყიდო თუ სხვაგან ვეძიო? მათ აღმითქვეს, ყოველ მასალას ჩვენგან ზომიერ ფასად მიიღებო; როდესაც კანტრახტით ვიქირავე ოსტატები და მივედი მონასტერში მასალებისათვის, მაშინ უარი მიყვეს, რომ იმათ არ შეუძლიათ არაფრის მოყიდვა. სოფლის კაცებს კი იმ ფამად გაქონდა მათგან გაყიდული ხე-ტყე გემებით. რადგან მოტყუებული შეეიქენი მათგან, ვიფიქრე მუშები გამეშვა. მუშები იყვნენ ბერძნები, მითხრეს: ან გვამუშავე, ან ფული რაც გარიგებული ვართ, მოგვეციო, თორემ არ მოგეშვებითო.

მაშინ ვცანი, რომ გზას მიხლართავენ, რომ ამ ადგილის გამყიდველთა სურდათ ჩემი იქიდგან განძევება და ადგილის ისევე შერჩენა. შეეიწროებულმა, მივიქეცი რუსის პანტელეიმონის მონასტერის წინამძღვარ ივერონიმესადმი და მოვახსენე გარემოება ჩემი; მან მიიღო მხურვალე მონაწილეობა ამ საქმეში, უბრძანა თავის ეკონომოსსა მღვდელ მონაზონ პალლეს, ყოველი მასალა იყიდოს ჩვენთვის.

ვიყიდეთ ხილანდრის-მონასტრიდგან, რომელი არს ოცდა ათი ვერსი სიშორე ჩვენი მონასტრიდგან, კირი ვიყიდე პონტოვრატორის მონასტერში. როდესაც დავიწყეთ ზიდვა ხეტყისა, მუშები იქმნა დათხოვილი და ერთიც ვერ ვიშოვე, ოსტატებს დღიური საფასე მიაქვს. ძიდეე შეეეეედრე მამა ივერონიმეს მასალის მოტანის საშუალობისათვის; უბრძანა მონასტრის ხარებით მომიტანონ კანონიერ ფასად.

ნახეს ივერის ბერებმა, რომ ამ გვარ მოქმედებითა ვერა გააწყვეს-რა, ყველა დაახლოებული გზები შეგვიკრეს, ხუთი ვერსი მეტი გზა გამოგვატარეს. ჩვენს ნაყიდ ადგილში, აგურის მოჭრის ნება არ მოგვცეს. ყოველის ფერი მონასტრის შენობისათვის საჭირო გარეშე მონასტრიდგან ვიყიდეთ, რამდენ ფასადაც ღირდა, სამი წილი მოტანას მოუნდა.

შეწევნითა ღვთისათა სახლები და ეკკლესია ერთად აღვაშენეთ ვიდრე სართულამდე; როდესაც ეკკლესიის თაღი შეეკარით, მაშინ ორი უფროსი არხიმადრიტები ილარიონ და დანიილ მოგვეხტნენ მუშებითურთ, გუმბადი ეკკლესიისა დაგვირღვიეს, ორმოცი თუმნის ნაშრომი დაგვეკარგა, დიდი იძულება მოგვაყენეს.— ჩვენ მოგვეცით ათი კაცის სამყოფი სახლის აშენების ნება დაშენ მონასტერს აშენებო და გუმბათიანი ეკკლესიის აშენება როგორ გაბედეო? ამასთანავე კიდევ გამომიცხადეს, არა მქონდეს ნება გარდა სამი კაცის და-

---

სებსა და ეგრე თამაშობენ, რომ რაღა გითხრა... ძალუმ დაკეთებულა...

— ბალახი როგორიღაა?

— უჰ! მოწონების ნიშნად წამოიძახა იმან.—ბალახს რაიღა კითხვა უნდა, ცხორი კიტრსავით დაურგვალებია... მართლა ქალბატონმა შემოგითვალა, ერთს წუთს აქ ამოდიო, სტუმრები მოგვეიდაო? დაუმატა იმან.

— ვინ სტუმრებია? ვკითხე მე.

— აბა, რაი ვიცი ქალაქიდგან მოვიდნენ, აფიცრებია რაიმე.

— ქალებიც არიან?

— არიან.

— აბა, მაშ მე წავალ და როგორც თქვენი იმედი მქონდეს, კარგა ყური უგდეთ. ცხორი არ დაგსხლტესთ.

— ფიქრი ნუ გაქვს, ცხორს არას გაუჭირებთ.

მე გამოვესალმე, გადუსვი ხელი ჩემა ერთგულს ძაღლს, რომელიც ცხვარს ისე შეშჩვეოდა, რომ მოშორება ვერ მოეხერხებინა და გავწიე შინისკენ.

რადგანაც საღამო ჩინებული იყო და მთვარიანი, ყველანი პატარა ბაღჩაში გამოსულიყვნენ და ჩაის მიირთმევდნენ. მხიარულს სიცილზედ და ლაპარაკზედ შევატყე, რომ ისინი სასიამოვნო სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ და რამდენიმე ფეხის გადადგმის შემდეგ ხმაზედ გაეარჩიე, რომ ერთი ჩემი ახლო ნათესავი ერია იმათში. მე ავჩქარდი იმათ ნახვას, რადგანაც დიდი ხანი იყო, რაც არ მენახა; და მოხუცი ნათესავი-კი მამიჩემის მეგობარი გახლდათ. მინდოდა ტანისამოსი გამომეცვალა და ისე მივსულიყავ სტუმრებთან, მაგრამ იმათ თვალი შემკრეს და დამიწყეს ძახილი. მე ბოდიში მოვიხადე და მივედ; მართლაც რა მოსარიდი იყო ტანისამოსი ნათესავებთან? მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ასეთის უმალ, ჩემი მოხუცი ნათესავი დამხვდა შემდეგის სიტყვებით:

— იფ, იფ!.. დამიხედეთ მთის მეგბატონის შვილს!

მე გაშვერილი ხელი ისე დამრჩა და მოხუცს გაშტერებით დავუწყე ყურება. ჩემი ყმაწვილი ნათესაობაც იქვე ახლოს მიკუნჭულიყვნენ და ჩუმად იცინოდნენ.

— არა გრცხვენიან? ნამუსი აღარა გაქვს?.. მეუბნებოდა გაცხარებული მოხუცი.

— რათა მლანძღავთ, ბატონო! რა დამიშავებია? ძლივს მოვახერხე სიტყვა.

— კიდეც რომ კითხულობს?.. ბიჭო! მამაშენი მეცხვარეთა გზრდიდა? მაგისთვის დახარჯა შენი წონა ფული?.. თუ მეცხვარეობა გინდოდა, შე ჩემი ცოდვით საესე, ან რუსეთს რაღად მიდიოდი, ან ფულს რაღადა ხარჯავდი?.. მიებარებოდი ჩემს სარქაღლს და ასეთს მემცხვარობას გასწავლიდა, რომ უკეთესი აღარ იქნება!..

— მამაჩემი სცხოვრებდა ისე, როგორც თითონ ესიამოვნებოდა და მეც ჩემს სიამოვნებაზედ მინდა ვიცხოვრო. წყენით ეუპასუხე და შევატყე ჩემს თავს, რომ მთლად ავინთე.

— ხალხში ვავიდა, იმათ დაახლოება უნდა, კნიაზო! წამოტყვრა ერთი ყმაწვილი აფიცერი და გაიღიმა.

— ხალხში მინდა გარეეა და დაახლოვება, თუ არა, ეგ თქვენს ჭკუას არ ეკითხება, ეუპასუხე მე და დავუმატე:—მაგრამ იმას კი გეტყვით სიტყვების რახარუხს მე მემცხვარობა მირჩევნიან, საქმე მაინც არის.

მე გავბრუნდი შინისკენ და სანამ ოთახში შევიდოდი მომდიოდა გაშმაგებული მოხუცის ყვირილი და ყმაწვილი ხალხის სიცილი; მოხუცი ყვიროდა:

— რის ხალხის დაახლოება, რის ხალხში გასვლა! თქვენ ისა ბრძანოთ, რომ ეხლანდელი ხალხი გამოუდეგარნი არიან, არაფრისათვის ვარგიან, ვერაფერისთანას ვერ გააკეთებენ.

აფიცერი-კი ჭიჭინებდა:

— მაგას რად ბრძანებთ? მარტო ერთის მაგალითით რად ადგენთ სხვებზედაც აზრს... ჩვენმა ნათესავმა მხოლოდ იმიტომ დაიწყო მეცხვარობა, რომ თავის გამოჩენა უნდა, სხვებიც ხომ აგრე არ არიან?!.

— დიდი თავის გამოსაჩენია მეცხვარობა, სწორე მოგახსენოთ... შკანასკნელად გავიგონე მოხუცის სიტყვები და შევიხურე კარი.

ერთის მხრით ლანძღვა იმიტომ, რომ იმათ გაკვეთილს ბილიკზედ არ მივდიოდა და მიზნად არ გამეხადა „ჩინი და პატივი“! მეორე მხრით ლანძღვა იმისთვის, რომ განუწყვეტლივი ჭრიჭინის მაგივრად ძნელი საქმისთვის მომეკიდნა ხელი და, მესამე მხრიდგანაც — უნდობლობა, რადგანაც იმ ხალხს ვისაც გულით ველტოდი, ვერ წარმოედგინათ კაცი, რომელსაც იმათი ცარცვა შეეძლო და ცარცვის მაგივრად იმათთან ერთად მუშაობას და ძმობას აპირებდა!

ასე დაიწყო ჩემი მეცხვარეობის დებიუტი, რა ხელობაშიაც შვიდი წელიწადი გახლდით და რაც ენახე, გავიგონე და ვიგრძენ, შემდეგიდგან დაინახავთ.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ყენებისა და არცა შემეძლოს ზარის რეკა, თორემ შენც განძევებული იქნები აქედგანო.

იმ ჟამად მეტი ვერაფერი მოვახერხე, მხოლოდ ეკკლესია სახლურად დავხურე, შევკრიბე ყველა გაბნეული ძმები ოცდა ხუთამდის დავაბინავე, საშუალება ალმოურჩინე საზრდოისათვის და მე შეუდეგ ქართველთ უფლების ძიებას ივერის მონასტერზე.

ვიდრე აქამომდე დავიარები და მაშერალი, მშიერი, ყოველი საშუალებამოკლებული და ძმებითურთ დიდად დავალიანებული! და მქეჯნელი ჩვენი და წინააღმდეგი კი ხარობს ჩვენ წინაპართა წმ მამათა მონაგარით.

ანდაზად თქმულია, „თხამ მხალი ნახა და ღობე ვერ ნახაო“. ეგ დალოცვილები, ჩაფლულნი არიან ქართველების საკუთრება სიმდიდრეში და კი ვერ გრძნობენ—ვისგან წარმომდგარა ეგოდენი მილიონების საშუალება! ერთი მხრით კი არ არიან გასამტყუნარი ისინი, მით რომელ არიან შავ ხალხთაგან შთამომავალნი თათრის უღლისაგან ლტოვილნი და მონასტრის შამოხიზნულნი და უშრომელად განლალებულთ თავის ვინაობა ვერ გაუგიათ...

მამა ბერასიმე ბრძანებს: წიგნთა საცავი ივერიის მონასტრისა კარგად არის დაცულიო. 1849 წ. განსვენებული პლატონ იოსელიანი გაგზავნილი იყო მთავრობისაგან, მივიდა ივერიის მონასტერში, ნახა უპატრონოდ დაყრილი ქართული წიგნები, მაშინვე იჩივლა თესალონიკის კონსულთან და ფაშასთან და ამ ნაირად, იძულებით გააკეთეს ის წიგნთ-საცავი, სადაც აწყვია ამ ჟამად. ბარნა უფრო მომეტებული ნაწილი ქართული წიგნებისა ეტრატის სათაური დაგლეჯილებია დაკარგულია, რომლითაც თეფს იჭერდენ და ბოთლებსაც უცობდნენ. ეხლაც მომეტებული ნაწილი ამ წიგნთა ფურცლებ - დაშლილნი დაყრილნი არიან. ზემოხსენებულ მღვდელ-მონაზონს ვენედიქტეს გამოუტანია ერთი წიგნი, დაუნახავს გამოხეული რამოდენიმე ფურცლები და სულით შეწუხებულს ზედ-წარუწერია: „ეჰ რა უქია სულის მტერს!“ ეს წიგნი დღეს ჩვენ ხელშია. ბ. ბერასიმე ბრძანებს სხვა-და-სხვა ენის წიგნებზედ: ისინი არიან სიბრძნის-მოყვარე ქართველთაგან შეძენილნი და არა ბერძენთაგან.

ზემოხსენებულნი საგნები არიან ჭეშმარიტნი და გამოძიებულნი ორის რუსის დიპლომატიური ჩინოვნიკებისაგან, სიმართლით ახსნილი და თუ ვინმეს ეს არ ეჯერებინა და იკადრებს პასუხის გებას, მაშინ ფარდის უკან მოფარებული ბევრი საქმეები გამოაშკარდება.

მ. ვუსედიქტე ბარკალაია.

განცხადებანი

გაიტყმა იჯარით მამული თელავის მაზრაში ს. ყვარელში. საჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, ტყე და ორ თვალიანი წისქვილი. არის აგრეთვე სახლი, მარანი და ეზოული საოჯახო შენობები და მოწყობილობანი.

მსურველს დაწვრილებითი პირობებისა შეტყობა შეუძლიან ელისაბედ სოლომონის ასულის მარჯანოვისაგან ქ. ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე მირზოევის სახლებში ფოჩტის სტანციის პირდაპირ № 44. (20—7)

Вышла въ свѣтъ книга:

СВЯТѢЙШІЙ СУНОДЪ ПРИ ПЕТРѢ ВЕЛИКОМЪ ВЪ ЕГО ОТНОШЕНІИ КЪ ПРАВИТ. СЕНАТУ.

Историческое изслѣдованіе Ѳ. Жорданія. Цѣна 1 р. 50 к. За пересылку прилагается 20 к. Продается въ книжномъ магазинѣ Грикурова. (10—4)

открыта подписка на 1883 годъ.

МОСКВА

годъ второй.

ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ

Въ журналѣ принимаютъ ближайшее участіе почти всѣ извѣстные русскіе художники.

Журналъ „Москва“ составитъ въ годъ 2 большихъ тома болѣе 1200 столбцовъ разнообразнаго литературнаго текста.

Историческіе романы и повѣсти, (съ рисунками), очерки и разсказы изъ русской жизни статьи по вопросамъ искусства, сцены, юмористическіе наброски, остроты, анекдоты, курьезы, переводные иностранные романы и разнообразный отдѣлъ „смѣси“.

Въ теченіе года будетъ помѣщено множество виньетокъ, портретовъ и иллюстрацій къ разсказамъ и повѣстямъ.

Всего болѣе двухъ-сотъ большихъ, оригинальныхъ рисунковъ, исполненныхъ цвѣтными красками.

Съ 1-го января начнется печатаніе большаго иллюстрированнаго историческаго романа изъ XIV вѣка.

Къ участію въ журналѣ приглашены лучшія литературныя силы.

Всѣмъ подписчикамъ на 1883 годъ будетъ разослано пятнадцать роскошныхъ художественныхъ премій, печатанныхъ красками на виленевой бумагѣ большаго размѣра.

ГЛАВНАЯ ГОДОВАЯ ПРЕМІЯ

большая лакированная олеографія

историческая картина художника К. В. Лебедева.

РУССКАЯ СВАДЬБА ВЪ XVI ВѢКѢ.

проводы молодыхъ въ опочивальню.

За приложенную на пересылку почтовую марку (въ 7 коп.) редакція высылаетъ, всѣмъ желающимъ, для ознакомленія съ журналомъ, подробное объявленіе и образцы многихъ рисунковъ въ краскахъ.

подписная цѣна.

На годъ безъ доставки	7 р.—к.
На полгода	4 „ — „
На 1 мѣсяцъ, безъ главной преміи	1 „ — „
На годъ съ доставкой пересылкой	8 р.—к.
На полгода	5 „ — „
На одинъ мѣсяцъ	1 „ 50 „

Для гг. служащихъ, какъ въ частныхъ такъ и казенныхъ учрежденіяхъ (въ С.-Петербургѣ, Москвѣ и другихъ городахъ) допускается разсрочка за ручательствомъ гг. казначеевъ и управляющихъ.

Подписка принимается во всѣхъ книжныхъ магазинахъ Москвы и Петербурга, въ конторѣ редакціи: при литографіи И. И. Кланга уголъ Знаменки, д. Звѣрева, въ отдѣленіи конторы редакціи: Петровка, домъ Петровскаго монастыря, при типографіи А. В. Дитмаръ.

Гг. иногородные подписчики благоволятъ обращаться исключительно въ контору редакціи на имя И. И. Клангъ.

(4—2)

ინგლისის

მაღაზია

Maison de confiance

შედარება ნაყენ. ნაბ.—1 ფ. 10 კ.	შოხოგის ნაბ.—1 ფ. 40 კ.
— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცს და ქალის, ხელ-სახოცები, შაკოტ-შინ კალენკარი—სულ ყველაფერი 25, დამ 5ი პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—27)

ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის საგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

ისტორია

შედგენილი რომან ანანიევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი მაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ქართველ ქალებისაგან ნაშარგმნი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

ბოლოში: მ. ქერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა **ერთი** აბაზი

ტაქცია

საგებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ეუქნებში და დაცარებით 1 დეკემბრიდამ 1 ივნვრამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 კ.
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	—

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 კ.
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	5 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	4½
მესამის „ „	—1 გირ.	4 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	9 კ.
მეორის „	—1 გირ.	8 კ.
სუკი — —	—1 გირ.	15 კ.
ცხერის ხორცი	1 გირ.	9 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	10 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.

ნამდვილი საკერავი მაშინები ზინგერისა



სასარგებლო საჩუქარი

საშობაოდ

ახალის მოწყობილობით, აქვს ჩუმად მომუშავე სტანოკი ბორბლებზე, უბრალო და მაგარი მეხანიზმი, საუკეთესო და მრავალ-გვარ საშუმაოს ალმსრულებელი მაშინებია ოჯახში მოსახმარად და აგრეთვე ხელოსნებისათვის.

სრული გარანტია:

31 წლის არსებობა ფაბრიკისა, თან-და-თან უფრო ბევრი ისყიდება, შარშან 561,000 გაისყიდა, სულ ხუთ მილიონამდინ გაგვისალებია, მსყიდველს შეუძლია კერაში ორი მან. შემოიტანოს მაშინის ფასი. ვასწავლით და ყუთშა ვაკეთებთ უფასოდ.

თან-და-თან ბევრი მაშინების გასყიდვა ამტკიცებს, რომ კარგი რამ ყოფილ

ბ. ნეიდლინგერ, ტფილისში, ატამანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახ. (4—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Декабря 1882 г. *Типографія Мелікова* ბამომცემელი ს. ფალიაშვილი. რედაქტორი ს. მელიქ